პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 24 სექტემბერი № 220 (17863) ფასი 2 კაპ.

ყრილობისწინა შრომითი მაჯისცემა

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. მის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს 7 ოქტომბრისათვის — სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის შეასრულოს ხუთწლედი. მოწინავეთა შორის არიან № 6 საამქროს მკერავები.

სურათზე: მკერავები ქეთევან ლომაძე (მარცხნიდან), ბრიგადირი ეთერ გოგია და ნათელა ხუგაევი ამოწმებენ მზა პროდუქციის ხარისხს.

ვ. გენგიურის ფოტო.

მშვიდობისათვის მებრძოლ ხალხთა მსოფლიო პარლამენტის მონაწილეებს!

ძვირფასო მეგობრებო!

თქვენ შეიკრიბეთ რთულ მომენტში, როცა საერთაშორისო ვითარება სულ უფრო მეტ შეშფოთებასა და წუხილს იწვევს. მსოფლიო დგას გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის მოჯანში, თუმცა ჩვენი პლანეტა ისედაც სავსეა იარაღით. ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს პოლიტიკას საფუძვლად უდევს „შეზღუდული ბირთვული ომის“ შესაძლებლობის კონცეფციები. გაისმის დაუფარავი მუქარა სხვადასხვა ქვეყნის მიმართ. ამის შედეგად თერმობირთვული კატასტროფის საშიშროება მატულობს. კაცობრიობა არჩევანის წინაშე დადგა: ან ხალხები და სახელმწიფოები ყოველ ღონეს იხმარენ მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ან გამანადგურებელი მსოფლიო ბირთვული ომის უფსკრულში გადაიჩეხებიან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არის რეალური შესაძლებლობა დროზე აეცილებოთ ისინი, ვინც ძალის გამოყენების იმედით ცხრავფის მსოფლიო ბატონობას და კაცობრობას ამ უფსკრულისაკენ უბიძგებს. არადა, დღეს მშვიდობის ბედს განსაზღვრავენ არა მარტო ისინი, ვისაც დიპლომატი, ძალადობა და ომები საერთაშორისო საქმეთა გადაწყვეტის ნორმალურ მეთოდად მიაჩნია. ომის საშიშროების ზრდა სულ სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეებში — პარლამენტარებს შორის, პოლიტიკურ პარტიებში, პროფკავშირებში, სხვადასხვა ორიენტაციის ქალთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებში ფართო პროტესტს იწვევს. ამის დადასტურებაა ფორუმი, რომელზეც შეიკრიბენით და რომელსაც შეუძლია და კიდევაც უნდა თქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების სასარგებლოდ, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ამ მზარდი სამხედრო საშიშროების წინააღმდეგ.

ჩვენს ქვეყანას, ჩვენს პარტიას ოვიდ საზრუნავი აქვთ, რაც თქვენ, — ეს არის ზრუნვა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის. საბჭოთა კავშირს არაერთხელ განუცხადებია და საქმით დაუდასტურებია: ჩვენ მზად ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ გამანადგურებელი საომარი კონფლიქტის საფრთხის შესაძცირებლად. ჩვენ არ გვინდა მეტოქეობა სიკვდილის იარაღის წარმოებაში და გულწრფელად ვიღვწით სამხედრო არსენალების შეზღუდვისა და შემცირებისათვის, განიარაღებისათვის. ჩვენ მზად ვართ პოლიტიკურად გადავწყვეტოთ ყოველი საერთაშორისო პრობლემა. დღეს არ არის სხვა გზა. თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების საფუძველზე მოლაპარაკების გარდა, თუ, რა თქმა უნდა, ყველა მისი მონაწილე გულწრფელად ეცდება ურთიერთმისაღებ შეთანხმებათა მიღწევას.

თქვენს ფორუმზე ფართოდ არიან წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები, მასობრივი მოძრაობანი და ორგანიზაციები, ავტორიტეტიანი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით ადამიანის გრძნობებსა და იმედებს. დაე, სოფიის პარლამენტმა ახალი სტიმული მისცეს ბრძოლასა და მასობრივ მოქმედებას ომის საფრთხის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების შემცირებისათვის, დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის, დაე, თქვენი მეცადინეობა, ძვირფასო მეგობრებო, ხელს უწყობდეს კაცობრობის ნათელი მომავლის რაც შეიძლება მალე განხორციელებას — ქვეყნად მტკიცე მშვიდობის დამყარებას.

ლ. ბრეჟნევი.

ერთობლივი კვლევის მეოთხე დღე

ფრენის მართვის ცენტრი, 23 სექტემბერი (საკადესი). კოსმონავტები ლეონიდ პოპოვი, ვალერი რიუმინი, იური რომანენკო და არნალდო ტამაიო მენდესი ერთობლივ მუშაობას განაგრძობენ „სალუტ-6“ — „სოიუზ-37“ — „სოიუზ-38“ ორბიტულ კომპლექსში.

წვევის ექსპედიციის ეკიპაჟმა შეასრულა კოსმოსური ფრენის პირობებში თავის ტვინის ბიოელექტრული აქტიურობის რეაქციის გამოკვლევის მორიგი სერია. ამასთან მთელი რიგი ფიზიოლოგიური მაჩვენებლების მაგნიტური ჩაწერა ზორაციელდებოდა საბჭოთა და კუბელი სპეციალისტების მიერ შემუშავებული აპარატურის — „კორტექსის“ მეშვეობით.

მიკროორგანიზმების ზრდასა და გაშრავლებაზე უწონობის გავლენის შესწავლის მიზნით კოსმონავტებმა დაიწყეს ბიოლოგიური ექსპერიმენტი „მუტანტი-კატორი“.

ორბიტულ კომპლექსში გრძელდება ტექნოლოგიური ექსპერიმენტები „შაქარი“ და „ზონა“. საქაროზის მონოკრისტალების ზრდის პროცესებს ეკიპაჟი ხელის ფოტოკამერებით აღრიცხავს ფირზე.

დღევანდელი დღის წესრიგით გათვალისწინებულია აგრეთვე გეოფიზიკური და ტექნიკური ექსპერიმენტები. ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს, დედამიწის ატმოსფეროს მახასიათებლების შემდგომი შესწავლისა და ატმოსფერული ოპტიკის მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, კოსმონავტები აწარმოებენ ზმის სინათლის სპექტრომეტრირებასა და ჰორიზონტზე ზმის სხვადასხვა სიმაღლეზე ყოფნის დროს მისი ფიგურის ფოტოგრაფირებას.

საღამოს კავშირის ორი სატელევიზიო სეანსის დროს ეკიპაჟი პრესკონფერენციას მოაწყობს ფრენის მართვის ცენტრში აკრედიტებული საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ორბიტიდან გადმოცემული მოხსენებების თანახმად, „სალუტ-6“ — „სოიუზ-37“ — „სოიუზ-38“ ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები და მეცნიერული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები პოპოვი, რიუმინი, რომანენკო და ტამაიო მენდესი თავს კარგად გრძნობენ.

დავძლიოთ წლის მიჯნები, მივაღწიოთ ხუთწლედის მწვერვალებს

მთავრდება კიდევ ერთი სასოფლო-სამეურნეო წელი, და მასთან ერთად, მეათე ხუთწლედიც. სამ თვეზე ცოტა მეტი, და ალბათ ყველზე ძნელი თვეები დარჩათ სოფლის მშრომელებს, რომ წამოსწიონ ჩამორჩენილი რგოლები, გამოასწორონ მდგომარეობა.

რესპუბლიკას ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ წარმატებით შეასრულოს სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის წარმოებისა და დამზადების წლიური და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი. დარჩენილ დროში საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ რესურსები, უნარიანად წარვმართოთ მშრომელთა ენერგია, ენთუზიაზმი, ოსტატობა.

ახლა ყოველი წუთი ძვირფასია. და ბევრი რამ არის დამოკიდებული დასავლეთ საქართველოს რაიონების მშრომელებზე, იმაზე, თუ რას შეიტანენ ისინი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის საერთო-რესპუბლიკურ „ფულაბაში“. წლისა და ხუთწლედის გეგმის განხორციელების მიმდინარეობა, მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცების გზები განიხილეს სოფლის მეურნეობის მუშაკთა ქუთაისში გამართული ზონალური თათბირის მონაწილეებმა. თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სამმართველოთა და გაერთიანებათა უფროსები, რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, დამამზადებელ ორგანიზაციათა და გადამამუშავებელ საწარმოთა ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი სამეურნეო მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. საქართველოს მშრომელები, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, თავდადებით იღვწიან იმისათვის, რომ განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

სტაბილურად ვითარდება მეფენახეობა. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საგულდაგულოდაა დამუშავებული ვენახები და ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თელავის თათბირმა, რომელმაც რესპუბლიკის მეფენახეებს მიზნად დაუსახა რთული ამოცანის გადაწყვეტა — მისცენ სამშობლოს სულ ცოტა 770 ათასი ტონა ყურძენი. ამ დღეებში რთველი კახეთში მიმდინარეობს მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ზონა შეძლებს გადაამეტოს ნახევარმილიონიან მიჯნას და სამშობლოს მისცეს 540-550 ათასი ტონა ყურძენი. კახეთში დაწყებული რთველის სწრაფი ტემპი არ უნდა შეანელონ დასავლეთ საქართველოს რაიონების მეკვნახეებმა. მათ სავსებით შეუძლიათ მოკრიფონ 150 ათასი ტონა ყურძენი და ამით არსებითი წვლილი შემატონ რესპუბლიკის მიერ ხუთწლედის პროგრამის შესრულებას. ეს ადვილი საქმე არის, მაგრამ მით უფრო საპატიო და მნიშვნელოვანი იქნება გამარჯვება. აი რატომ არის, რომ რთველის შემჭიდროებულ ვადებში უდანაკარგოდ დამთავრება ყველა იმათი ვალია, ვინც დასაქმებულია ყურძნის კრეფაზე, მის ტრანსპორტირებასა და გადამუშავებაზე. დასავლეთი საქართველო კლასიკური მეკვნახეობის ზონაა, და ეს დროგი აქ ისევე სრულიადაა უნდა განვითარდეს, როგორც ვთქვათ, მეჩაიეობა ან მეციტრუსეობა, ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვხედავდეთ პერსპექტივას, ავამოქმედოთ თითოეულ მეურნეობაში არსებული გამოყენებელი რეზერვები.

თათბირის მონაწილეებმა აღინიშნეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში **დაჩქარდეს ხეხილის კრეფის ტემპი.** აქ, ისევე როგორც მეფენახეობაში, ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობაა. მეურნეობის უნარიანი გაძღოლა, მეცადინეობის პროგრესული წესები — აი ფაქტორები, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს ხილის აღმავლობაზე, და მიუტევებელია, რომ ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ ბაღებისათვის, არ ისწრაფვიან გახადონ ისინი უხვმოსავლიანი და დიდშემოსავლიანი.

მეხილეობის დარგის რეზერვებს შორის დაასახელეს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის მოსახლეობის უფრო აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოსათვის საკარმიდამო ნაკვეთებიდან ხილის ჩაბარებაში, სუბტროპიკული ხურმის მთლიანი მოსავლის გადიდება. უთუოდ უნდა გადაიჭრას ტარიფ მეურნეობათა უზრუნველყოფის პრობლემა.

კონსულტაციებზე, წვენებზე, კომპოტებზე უდიდესი მოთხოვნილებაა ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. რესპუბლიკის საკონსერვო საწარმოებმა უნდა მოაგვარონ ზუსტი მუშაობა წარმოების ყველა უბანზე, გამორიცხონ დანაკარგები პროდუქციის ტრანსპორტირებისა და გადაუმუშავების დროს, იზრუნონ ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის. ამასთან თათბირზე სერიოზული პრეტენზიები წაუყენეს კვების მრეწველობის სამინისტროს მუშაკებს, უშუალოდ მეკონსერვეებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ დაუმყარებიათ ზუსტი საწარმოო დისციპლინა, ვერ მიუღწევიათ მუშაობაში მაღალი ორგანიზებულობისათვის. ზუსტი მეურნეობრიობა, ეს ხომ, უწინარეს ყოვლისა, თითოეული სამუშაო წუთის ეფექტანი გამოყენება, შესრულებისადმი მკაცრი კონტროლი და მინდობილი სამუშაო უბნისათვის მაღალი პასუხისმგებლობაა. მეხილეობაში, კონსერვების წარმოებაში საქმის ვითარებისათვის მეურნეობის, ბრიგადის, საწარმოს თითოეულ ხელმძღვანელს პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება.

საქმის ინტერესები, ხუთწლედის ინტერესები თითოეული მშრომელისაგან მოითხოვს მეტ შრომითს დაძაბვას. ეს ეხება მეურნეობრიობის ყველა სფეროს. ჩვენ სოფლის მშრომელთა მაღალი პატრიოტიზმის ბევრი მაგალითი გვაქვს. საყურადღებოა მახარაძელთა და ზუგდიდელთა ინიციატივა — **გაიჩაღონ შეჯიბრება რესპუბლიკაში ნახევარი მილიონი ტონა ჩაის ფოთლის მიღებისათვის.** ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ბევრმა შრომითმა კოლექტივმა. მაგრამ რაოდენობასთან ერთად არც ნედლეულის ხარისხი უნდა დავივიწყოთ. ამის საწინდარი უნდა გახდეს პლანტაციებში, ტრანსპორტზე, ჩაის ფაბრიკაში უმკაცრესი შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს **მეცხოველეობის პრობლემასაც.** სერიოზულ შეშფოთებას იწვევს გასული და მიმდინარე წლის მოსავლის დისბალანსი. უამინდობამ, რომელმაც უარყოფითი გავლენა მოახდინა თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე, მიმდინარე სეზონში ციტრუსებიც არ დაინდო. ეი ამიტომ, აღნიშნეს ორატორებმა, ციტრუსების კრეფა, გადამუშავება და შენახვა განსაკუთრებით უნდა კონტროლდებოდეს. მეურნეობებისათვის სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლია მოსახლეობას მაქსიმალური რაოდენობის ნაყოფის ჩაბარებით, მით უფრო, რომ მოქმედი შესასყიდი ფასები ამის სტიმულს აძლევს სოფლის მშრომელებს.

ციტრუსები საკავშირო ფონდში რესპუბლიკის მიწოდებისა უმნიშვნელოვანესი პროდუქტია. დარგში საჭიროა შეჯიბრების სიმძაფრისა და ეფექტიანობის გაზრდა, რათა ყოველი კოლექტივი მუშაობდეს უანმარჩენლობოდ, ზუსტად და აწყობილად უბამდეს მხარს მოწინავეებს, იყენებდეს ძვირფას გამოცდილებას. დიდად მნიშვნელოვანია, რომ ყველა რგოლი იცავდეს მაღალ საწარმოო და საგეგმო დისციპლინას, ეძებდეს და ამოქმედებდეს სულ ახალ-ახალ რეზერვებს, ძლევდეს მაღალ მიჯნებს, ცხოვრება ბევრ მაგალითს გვაძლევს, რომლებიც ცხადყოფს, რაოდენ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მოწინავე გამოცდილების შემოქმედებითი გაზიარების, საგულისხმო თაოსნობათა დროული და მასობრივი მხარდაჭერის ეფექტი.

სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების ანალიზი ნათელყოფს, რაოდენ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა, შინაგანი რესურსი გვაქვს. ავიღოთ თუნდაც ქმედიანდობა. წლეულს ამინდს არ გაუნებივრებია მიწათმოქმედი. სეიოზულად დაზარალდა დიდძალი ნათესები, რაც უწინარეს ყოვლისა გუდაუთის რაიონს შეეხება, მაგრამ ეს ვერ მოახდენს გავლენას რესპუბლიკის მიერ მარცვლეულის დამზადების გეგმის შესრულებაზე, რადგან საქართველოს სხვა რაიონების მიწათმოქმედებმა გამოიჩინეს შეგნებულობა, გუდაუთელებისადმი სოლიდარობა. ბევრმა მარცვლეულის მწარმოებელმა რაიონმა იკისრა რეზერვების გამოყენების მეშვეობით გაზარდოს მარცვლეულის მთლიანი მოსავალი, დაფაროს წარმოქმნილი დანაკლისი. თათბირზე პრინციპული, საქმიანი სკამბასი გაიმართა **საკვებწარმოების, მეცხოველეობის** პრობლემებზეც. თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მიერ აღებული კურსი იყო და არის დარგის განვითარების ძირითადი მიმართულება. ჩვენ მოვალენი ვართ ვიმუშაოთ ისე, რომ ხორცით, რძით, კვერცხით მოსახლეობის უზრუნველყოფაში უწინარეს ყოვლისა გვქონდეს ჩვენივე თავის, საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების იმედი. სოფლად არ უნდა იყოს ოჯახი, ძროხა რომ არ ჰყავდეს. საკითხის ასეთი დაყენება თვით დროით არის ნაკარნახევი. განა შეიძლება შეეურიგდეთ მდგომარეობას, როცა აღმოსავლეთ საქართველოს დიდ სოფლებში, მაგალითად, ვაზისუბანში, სადაც 1500 კომლია, სულ 150 ძროხა ჰყავთ. ასეთი მაგალითი ცოტა როდია რესპუბლიკის დასავლეთშიც. ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი პარტიის მახარაძის რაიკომის ინიციატივას მოსახლეობასთან მეურნეობათა კოოპერირების თაობაზე, როცა მეურნეობები სოფლის მცხოვრებთ შეღავათიანი სახელშეკრულებლო საწყისებით აძლევენ ძროხასა და ღორს გასასუქებლად, ეხმარებიან მათ საკვებით. ასეთი ფორმის თანამშრომლობა ხელს აძლევს მოსახლეობასაც და სახელმწიფოსაც.

დადებითი გამოცდილებაა შეძენილი სამეწველო საწარმოებთან დამხმარე მეურნეობათა შექმნაში. მეთერთმეტე ხუთწლედში ყველა რაიონს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას უნდა ჰქონდეს მეცხოველეობის აღმავლობის გაშლილი პროგრამა.

დღეს გუშინდელივით ვეღარ ვიცხოვრებთ. თანმიმდევრული წინსვლა, ადამიანების მზარდი საჭიროებანი ჩვენგან მოითხოვს ახლებურად მიეუდგეთ მომწიფებულ პრობლემებს, დღის მოთხოვნათა გათვალისწინებით გადაეჭრათ ისინი. მოთხოვნები კი დიდია. და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აღმოვფხვრათ დანაკარგები სოფლის მეურნეობაში, ვიზრუნოთ სასურსათო პროდუქტების წარმოების გასაღიდებლად. ეს ყოველდღე, ყოველ საათს უნდა გვახსოვდეს, ამას მოითხოვს ხალხის, სახელმწიფოს ინტერესები. ჩვენს პრაქტიკაში არ უნდა ხდებოდეს ქცევის საზოგადოებრივი ნორმების დარღვევა, დაბაცება, სხვა საძრახისი რამ, იმუშაონ პატიოსნად და კეთილსინდისიერად, მიიჩნიონ ნაკისრი ვალდებულება კანონად — აი სოფლის მშრომელთა ამოცანა.

რესპუბლიკა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საქართველოში ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის მეშვნის მე-60 წლისთავის ზღურბლზე დგას. ღირსების, პრესტიჟის საქმეა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენებს შეეგებოთ ღირსეულივე საქმეებით. კარგი განწყობილებით შევაბიჯოთ ახალ ხუთწლედში.

თათბირის მონაწილენი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებას სოფლის მშრომელთა ცხოვრების ამ ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში. საჭიროა, თქვა თათბირზე, კიდევ უფრო ავამაღლოთ პარტიულ ორგანიზაციათა, თითოეული კომუნისტის ავანგარდული როლი ყველა მშრომელის დასარაზმავად 1980 წლის და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. ეს მთელი ჩვენი რესპუბლიკის ღირსებისა და პრესტიჟის საქმეა.

თათბირის მონაწილეებმა მაღალი მომთხოვნელობის, სკკპ XXV ყრილობის მიერ მეურნეობრიობის ყველა სფეროში დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის პარტიული პასუხისმგებლობის პოზიციებიდან. გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს აამოქმედონ დამატებითი შინაგანი რეზერვები, დაისახეს ახალი მიჯნები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-დამზადების გადიდებაში.

ზონალური თათბირის მონაწილეებმა დასავლეთ საქართველოს რაიონების ყველა სოფლის მშრომელს სახელით პირობა დადეს, რომ ძალ-ღონეს, ენერგიას, შემოქმედებითს ენთუზიაზმს არ დაიშურებენ 1980 წლის და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა უთუოდ შესრულებისათვის, რათა საიმედო საფუძველი ჩაუყარონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომ ინტენსიურ აღმავლობას.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. ი. გრიშაკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ლ. ლ. ზაქაიძე და ო. მ. ივანაშვილი. (საქინფორმი).

საკავშირო აღიარება

ხუთწლედის ბოლო წლის პირველ ნახევარში წარმოების მოცულობის ტემპის ზრდის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით გამარჯვებულად ცნეს და საპატიო სიგელებით დაჯილდოვეს.

— ჯილდო ყოველთვის საამაყო და სასიხარულოა, — თქვა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გ. გამცემლიძემ, — მაგრამ ეს სიგელი მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სამეგისოს გახლავთ, რომ მეათე ხუთწლედში რესპუბლიკაში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი გეგმით 42,2 პროცენტია, რაც საკავშირო მაჩვენებელს 16 პუნქტით აღემატება. ხუთწლედის პირველ ოთხ წელიწადში ამოცანა წარმატებით შესრულდა. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 129-ის ნაცვლად 131 პროცენტს მიაღწია. ახლა სიტყვა ბოლო წელიწადზეა. აი, ამ გადამწყვეტ ეტაპზე მოვიდა ეს სასიამოვნო ცნობა.

ნახევარ წელიწადში დარგში შესრულდა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ეს არის საბალანსო მოგება და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. მნიშვნელოვნად გაიზარდა ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე უკუგების მაჩვენებლები და ა. შ.

— **მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია. რა გაკეთდა ამ მიმართულებით დარგში?**

— პასუხი ამ კითხვაზე ციფრებს მივანდოთ: წელს პირველ 6 თვეში გეგმით გათვალისწინებული 124 მილიონი მანეთის ნაცვლად 140 მილიონი მანეთის სახელმწიფო ხარისხისანშნიანი პროდუქცია გამოვიდა. მთლიან მოცულობაში ხარისხისანშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი 19 პროცენტს შეადგენს. მაშინ, როდესაც საკავშირო მაჩვენებელი 9,8 პროცენტია.

ჩვენ გვაქვს საწარმოები, სადაც მეტი წილი პროდუქცია სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის. ასეთებია ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა (60 პროცენტი), თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება „ბახტრიონი“ (58 პროცენტი), ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „გელათი“ (50 პროცენტი) და სხვა.

— **რესპუბლიკის ზოგიერთმა საწარმომ უკვე უპატაჟა სამშობლოს მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულება. მათ შორის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიც აი. ან.**

— დიახ ეს ასეა. ჩვენი დარგის 16 საწარმო უკვე მომდევნო ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. 6 თვის შედეგების მიხედვით საკავშირო მსუბუქი მრეწველობის ხაზით მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ფაჯილდოვდნენ ბობილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის და ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივები.

— **დასასრულ ორიოდე სიტყვა დარგში არსებულ ნაკლოვანებებსა და მომავლის პერსპექტივებზე.**

— იმის თქმა, რომ ყველა პრობლემას მოგუარეთ და გადასალახავი მიჯნები აღარ გვაქვს, სწორი არ იქნება. კიდევ არაერთხელ მოგვიწევს საკმაოდ სერიოზულ სიძნელეებთან შეჭიდება. მთელ რიგ ქვედარგებში, მაგალითად, ჯერ კიდევ კერ ვიყენებთ ეფექტიანად საწარმოო სიმძლავრეებს, გვაქვს სამუშაო დროის დანაკარგები. ჩვენი დარგის მუშაკებმა არ შეიძლება მშვიდად იგრძნონ თავი მანამ, სანამ იქნება თუნდაც ერთი რეკლამაცია, მომხმარებლის თუნდაც მცირე ნაწილის უკმაყოფილება. ამ და სხვა პრობლემებთან ბრძოლით განისაზღვრება ჩვენი პერსპექტივებიც. ერთი რამ კი მთავარია და უცილობელი — უსათუოდ განვახორციელოთ პარტიის მიზანდასახულობანი, სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას ვუპატაკოთ მეათე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება და მომდევნო მეთერთმეტე ხუთწლედის კარგი დასაწყისი.

ავტომოშენებელთა გამარჯვება

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის მეათე ხუთწლედის გეგმა. ხუთწლედის დამდეგიდან რეალიზებულია შვიდას მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა გადაწყვეტეს ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სამშობლოს კიდევ 50 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცენ. (საქინფორმი).

რთველი — 80

ფვრეგის გარაქა

ყურძნის დამზადების

1980 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულების მიმდინარეობა (ტონობით).



770 000 ტ ყურძნისათვის

მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის“ 23 სექტემბრის ცნობა

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	შესრულება	22 სექტემბრის მოიკრიფა
გურჯაანის	150.000	82.928	7.244
თელავის	95.000	36.943	3.808
ყვარლის	80.000	32.402	2.956
სიღნაღის	65.000	39.429	3.207
ახმეტის	60.000	12.916	1.894
წითელწყაროს	50.000	36.173	1.880
საგარეჯოს	40.000	4.176	1.031
ლაგოდეხის	20.000	5.421	722
მარნეულის	25.000	12.947	1.542
ბოლნისის	15.500	9.380	908
გარდაბნის	12.000	2.045	322
ზესტაფონის	28.000	294	—
თერჯოლის	24.200	215	—
მაიაკოვსკის	20.000	36	—
ვანის	20.000	258	—
მცხეთის	15.000	40	—

კახეთში მოკრეფილია 250.388 ტონა ყურძენი. 22 სექტემბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 25.514 ტონა.

რესპუბლიკაში 23 სექტემბრისათვის სულ მოკრეფილია 275.603 ტონა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 72.363 ტონით მეტი.

აღმშენებლობის პროგრამა ხორციელდება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი № 172 გეგეჭკორის საარჩევნო ოლქისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი სამ დღეს იყო ამ საარჩევნო ოლქში შიგავალ ჩხოროწყუს, გეგეჭკორისა და აბაშის რაიონებში. იგი ეწვია რაიონების სამრეწველო საწარმოებსა და მეურნეობებს, დაათვალიერა მათი ახალმშენებლობანი, შეხვდა მუშებს, მიწათმოქმედებსა და მეცხოველეებს, გამოიკითხა სოფლის მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, გაიცნო მათს საქმიანობას სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ჩხოროწყუს რაიონში ამხანაგი პ. გ. გილაშვილი იყო ნაკიანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში, სოფლების კირცხისა და ზემის კოლმეურნეობებში, მუხურის ფეტკრისაშენში, ჩხოროწყუს ახალმშენებლობებზე, ეწვია № 2 ჩაის ფაბრიკას, რომელიც წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ.

შემდეგ ამხანაგი პ. გ. გილაშვილი გეგეჭკორს ეწვია. რაიონის მეურნეობებში, რომლის მშრომელებმაც ვადამდე შეასრულეს ჩაის ფოთლის წარმოების ხუთწლიანი დავალება, გაიმართა შეხვედრები და საუბრები ჩაის პლანტაციების ოსტატებთან და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკებთან. ამხ. გილაშვილი იყო მაღალი მთის სოფელ კურზუში, გაეცნო ადგილობრივი კოლმეურნეობის საქმეებს, დაათვალიერა ახალი საშუალო სკოლის შენობა, აგრეთვე საავტომობილო გზის მშენებლობა, რომელიც ამცირებს გზას რაიონულ ცენტრამდე. სოფელ საალხინოში ამხანაგი პ. გ. გილაშვილი შეხვდა მეჩაიეებსა და მესამინდეებს, კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმების მშრომელებს.

ამხანაგ პ. გ. გილაშვილის შეხვედრა ამომრჩევლებთან

აბაშაში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პ. გ. გილაშვილის შეხვედრა ამომრჩევლებთან.

ჩხოროწყუს, გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების მშრომელთა საქმიანობაზე მეათე ხუთწლედის წლებში და მის დამამთავრებელ წელს, იმ მაღალ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომლითაც ისინი ეგებებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, ილაპარაკეს საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა. მათ მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, თქვეს, რომ ისევე როგორც რესპუ

რეზერვების მაქსიმალური გამოყენებით

ქალაქ ტყიბულის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

ქალაქის მშრომელები, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებით, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სახელმძღვანელო დებულებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXI პლენუმის და მიმდინარე წლის 7 ივლისის რესპუბლიკური აქტივის კრების დადგენილებებით, დიდი შემართებით ებმებიან გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ეძღვნება ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას — სკკპ XXVI ყრილობას.

ქალაქის ყველა სამრეწველო საწარმოში საფუძვლიანად განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ და თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის თაოსნობა. შეჯიბრებაში ჩაება 60 უბანი, 97 ცვლა, 26 საამქრო და 3233 ინდივიდი.

მიმდინარე წლის მეორე ნახევარში გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 657 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციას, ხოლო მთლიანად 1980 წელს 1523 ათასი მანეთისას, ანუ წლიურ ვალდებულებაზე 245 ათასი მანეთით მეტს.

ქალაქის მრეწველობაში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი, ნაცვლად ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებული 17 პროცენტისა, გაიზრდება 37 პროცენტით, ქალაქის მრეწველობა მეათე ხუთწლედის გეგმას შეასრულებს საქალაქო პარტიულ კონფერენციამდე ერთი თვით ადრე, 7 ნოემბრისათვის.

წლეულს დაიზოგება 1.553 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 875 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, 21 ტონა ლითონი, 53 ტონა ცემენტი, 618 ტონა სათბობი და 71 ტონა საწვავ-საპოხი მასალა. მასალების დაზოგვით ვარაუდობენ 138 ათასი მანეთი ეკონომიის მიღებას.

სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღეს 8 საწარმო იმუშავებს დაზოგილი მასალებით, მათ შორის კურსების გრანტის ქარხანა, ორჯონიკიძის სახელობის შახტი, საქშახტმშენის № 7 ტრესტის სამრეწველო საწარმო, აღმოსავლეთ-2 შახტი, გელათის ტრანსფორმატორების ქარხანა და სხვ.

გეგმის გადამეტებით შახტმშენებლები ჩაბარებენ 45-ბინიან საცხოვრებელ სახლს.

ავტოტრანსპორტის მუშაკები გადაზიდავენ 15000 ტონა ტვირთს და შეასრულებენ 140000 ტონა-კილომეტრს; გეგმის გადამეტებით გადაიყვანენ 9 ათას მგზავრს.

მიმდინარე წელს და 1981 წლის იანვარ-თებერვალში სამრეწველო საწარმოებში კვალიფიკაციას აუმაღლებენ 353 მუშას, მომიჯნავე პროფესიას დაეუფლება 291 კაცი. დამრიგებლებს მიემაგრება — 225 ახალბედა მუშა, მათ შორის პროფტექნიკური სასწავლებლის სისტემის 59 კურსდამთავრებული. გაუმჯობესდება შრომის დისციპლინა და მნიშვნელოვნად შემცირდება გამცდენთა და გაცდენილ კაცდღეთა რაოდენობა.

სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივები კისრულობენ ახალ სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემას, ასევე ტექნიკური პროგრესისა და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის გზით უზრუნველყოფენ წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებასა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

საექსპლოატაციოდ გადასცემენ ცენტრალურ მამდიდრებელ ფაბრიკასთან მაღალნაცრიანი ქვანახშირის თერმოდამუშავების საამქროს, რითაც მთლიანად გამოირიცხება ფეროშენადნობთა წარმოებაში ძვირად ღირებული კოქსწვრილას გამოყენება და გადაწყდება ენერგეტიკული მაღალნაცრიანი ქვანახშირის რეალიზაციის მწვავე პრობლემა.

აამოქმედებენ „საქშახტმშენის“ № 7 ტრესტის ტყიბულის სამრეწველო საწარმოს რკინა-ბეტონის პოლიგონის მეორე რიგს და უახლესი ტექნიკის ორთქლის საქვაბე მეურნეობას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც რკინაბეტონის, ისე ხეტყის გადასამუშავებელი საამქროების საკნებს, ასევე გამოიყენებენ შენობა-ნაგებობების გასათბობად.

საექსპლოატაციოდ გადასცემენ საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ ტყიბულის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს საკუთარ საწარმოო ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს რკინაბეტონის კონსტრუქციებზე სამმართველოს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

საქალაქო კონფერენციის გახსნისათვის პირველ პროდუქციას გამოუშვებს პურკომბინატის ახალი საამქროს „ფიფქიას“ ხაზი.

ორჯონიკიძის სახელობის შახტში ავტომატურ მართვაზე გადაიყვანენ ორ კონვეიერს, ინტენსიური მოძრაობის ადგილებში დამონტაჟდება ავტომატური საირე გადამყვანების 4 კომპლექტი, № 2 საექსპლოატაციო უბანში მოეწყობა მასალის საზიდი მონორელსი 150 მეტრზე.

დამთავრდება გაზ-მეთანის საკონტროლო სტაციონარული აპარატურის ცენტრალიზებული ავტომატიზაცია.

ქვანახშირის ცენტრალურ მამდიდრებელ ფაბრიკაში მსხვილი კლასის რიგითი ნახშირის გასამდიდრებლად და წვრილი კლასის დამლექი მანქანიდან გამოყოფილი ფუჭი ქანის გასაწმენდად დაიდგმება ახალი ტიპის (ომ-12 და ომ-8) დამლექი მანქანები. შლამების დანაკარგების შემცირების მიზნით და შებრუნებული წყლის გასუფთავებისათვის დაამონტაჟებენ დამლექ ცენტროფუგებს და ლენტურ ფილტრს.

ქალაქ ტყიბულის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და დამტკიცებულია პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე.

მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულ ჯგუფებსა და საამქრო ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები დამთავრდა. ამ კრებებს ესწრებოდნენ პარტიის ლენინის რაიკომის მდივნები, რაიკომის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

კომუნისტთა აქტიურობა იქიდანაც ჩანს, რომ პარტჯგუფებში გაერთიანებული 348 სკკპ წევრიდან კრებებს დაესწრო 338, კამათში კი 157 გამოვიდა.

მისამართებიკონკრეტულია

კომუნისტთა შენიშვნები და წინადადებები — პრაქტიკულ საქმედ!

საუბარი იმით დაიწყო, რასაც საანგარიშო პერიოდში მიაღწია ქარხნის კოლექტივმა. ითქვა, მაგალითად, რომ ბევრად გაუმჯობესდა მუშების შრომისა და დასვენების პირობები, მოეწყო სპეციალური საშხაპეები, რამდენიმე საამქროსათვის მოგვარდა საგარდერობო სისტემა, სასადილოში გაიზარდა კერძების ასორტიმენტი. ყველა ამ სიკეთით, რასაკვირველია, ქარხნის სხვა მშრომელებთან ერთად იმ პარტიული ჯგუფების კომუნისტებიც სარგებლობენ, რომელთა საანგარიშო-საარჩევნო კრებების ამბავს დღეს გიამბობთ. სიკეთე საზიაროა, თითქმის ყველასათვის ერთნაირია, ხოლო გასაპირი თითოეულ რგოლს, თითოეულ უბანს თავისი აქვს და ამაზე პირუთვნელად საუბრობდნენ კრებებზე, თუმც ერთი საერთო პრობლემა ყველას აწუხებს: — მასალებით არაორგანიზებული მომარაგება. მუშები მოითხოვენ, რომ ქარხნის დირექციამ, პარტიულმა ორგანიზაციამ მეტი ყურადღება დაუთმინონ ამ საკითხს, რაც მათ მუშაობას უფრო მეტ ეფექტიანობას შემატებს.

ელექტრო-სამანქანო საამქროს პარტჯგუფში (პარტჯგუფორგი — ე. ზაზიკაშვილი) 19 კომუნისტია და თითქმის ყველა გამოთქვამს თავის აზრს,

— მანქანებს, ძრავებს თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ. ეს ყველამ კარგად ვიცით და ასეც ვიქცევით, მაგრამ უამინდობის დროს სახურავიდან წვიმა წვეთავს, რაც აფუჭებს ძრავებს. შემოდგომა დადგა, ხშირი წვიმები დაიწყება ალბათ. სახურავის შეკეთება უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია, — ამბობს კამათის მონაწილე გ. მასხარაშვილი.

კოლექტივის ბრძოლისუნარიანობის გაზრდის, წინსვლის ერთ-ერთ წანამძღვრად პარტჯგუფორგ ლ. ჯალაღანიას ის მიაჩნია, რომ ახალგაზრდა ინჟინრებმა და ტექნოლოგებმა უფრო აქტიურად იმუშაონ რაციონალიზატორულ წინადადებებსა და გამოგონებებზე. კრების დადგენილებაში ჩაიწერა, რომ ეს საქმე კომკავშირულ ორგანიზაციამ დაევალოს. გაიმართოს კრება, რომელზეც სპეციალურად განიხილება ეს საკითხი და, რაც მთავარია, ახალგაზრდა გამომგონებლები და რაციონალიზატორები განაწილდებიან საამქროებში, რაც ხელს შეუწყობს ახალი ტექნიკის დანერგვას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მიმდინარე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებას

ვარტიული ცხოვრება

ცხაკაიას რაიონის საკვებმომპოვებლებმა ამ დღეებში შეასრულეს სილოსის დამზადების გეგმა-ვალდებულება. 10 ათასი ტონა სილოსის ნაცვლად დამზადებულია 11.500 ტონა სილოსი. ცხაკაიელ საკვებმომპოვებლებს გადანყვეტილი აქვთ ნლის ბოლომდე დაამზადონ 15 ათასი ტონა სილოსი.

მოწინავეთა შორის არიან მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს საკვებმომპოვებლები, რომლებმაც უკვე დაამზადეს 6.800 ტონა სილოსი. ისინი ფიქრობენ დამატებით კიდევ 1100 ტონამდე სილოსი დაამზადონ.

● ●

სურათზე: ზემოთ: — მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირი გ. ახალაია (მარცხნიდან), „საქსახსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანების მმართველის მოადგილე წარმოების დარგში ჯ. ღვინჯილია და სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონული კომიტეტის მდივანი მ. ჩაჩავა ამონმებენ სასილოსე მწვანე მასის ხარისხს, ქვემოთ— სასილოსე მწვანე მასის აღება.

ვ. ბეგბეგურის ფოტო.

პრესის ფურცლებზე

ვეგრძელოთ ყველამ ერთად!

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს გეგეჭკორის რაიონში. ეს იგრძნობა მისი გაზეთის — „შრომის დროშის“ ფურცლებზეც. თუ გავითვალისწინებთ, რომ კარგი გაზეთი რაიონის ცხოვრების, შრომისა და ბრძოლის სარკეა, მის ნომრებზეც უნდა აღიქვამდეს მკითხველი რაიონის მძლავრ მაჯისცემას.

როცა სამშობლოს სადიდებლად, ხალხის საკეთილდღეოდ თავდადებით ირჯებიან გეგეჭკორელი მეჩაიეები, მესამინდეები, მევენახეები, მეცხოველეები, ბანათლებისა და კულტურის დარგის მუშაკები, ძნელი მოსათმენია მათ გვერდში წესრიგის დამრღვევი. სწორედ ამის ღრმა შეგნებით „შრომის დროშა“ რეგულარულად უთმობს სპეციალურ გვერდებს რაიონში ყველგან და ყველაფერში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის, ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენებისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა-დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლას. არის სპეციალური გვერდები „სიმართლისა და კანონიერების სადარაჯოზე“.

„დაუნდობელი ბრძოლა უსაქმურებს“, „ბოლომდე აღიკვეთოს დარღვევა-დამახინჯებანი“, „ბრძოლა შეურიგებელი, უკომპრომისო“, „შეურიგებელი ბრძოლა — ყოველგვარ მახინჯ მოვლენებს!“ ასეთი და მსგავსი ანშლაგებით „შრომის დროშის“ ფხიანი მასალები მიმართულია განსაკუთრებით მომსახურების სფეროში, სავაჭრო ქსელში არსებული ნეგატიური მოვლენების, სხვადასხვა დამახინჯებათა წინააღმდეგ. გაზეთის გამოსვლათა ქმედითობაზე მეტყველებს გამოხმაურებანი. მაგალითად, გაზეთში მხილებული დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მომხმარებელთა საზოგადოების ეკონომისტი გ. ქუთელია გაათავისუფლეს თანამდებობიდან ყველ-კარაქის ქარხნიდან გატანილი ყველის მრუდე გზით რეალიზაციის გამო. გაზეთის კრიტიკულ გამოსვლას მალე მოჰყვა პურკომბინატის საკონდიტრო საამქროს მუშაობაში არსებული დამახინჯებებისათვის დამნაშავეთა ადმინისტრაციული დასჯა და საამქროს მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

„შრომის დროშის“ ფხიანი მასალები მიმართულია „ჩვენ, კანონი“ და „ზოგადოებაში ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილ უსაქმურებს, ხოცმეტებს, კომბინატორებს, შრომის დეზერტირებს, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს. რუბრიკით „ჩვენ, კანონი“ და „საზოგადოება“ გამოქვეყნებულ მასალებში „კონკრეტული მაგალითებით არის ნაჩვენები, რომ ყველგან და ყველაფერში წესრიგის დამყარება ყველას საქმეა. ასე გაჩნდა გაზეთში ანშლაგი „ყველამ ერთად ვებრძოლოთ მახინჯ გამოხდომებს, ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებს!“.

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

ქალაქ ტყიბულის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი

ახალი სასწავლო წლის წინ პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში

პარტიული სწავლება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

იდეოლოგიური **და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, დედაარსი იყო და არის საბჭოთა ადამიანებისათვის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კომუნისტური იდეალების უსაზღვრო ერთგულების, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ჩანერგვა. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს პარტიული სწავლების, ეკონომიკური განათლების, კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემა, პროპაგანდის მასობრივი ფორმები.**

1 ოქტომბერს მთელ ჩვენს ქვეყანაში იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული სწავლებისა და ეკონომიკური განათლების სისტემაში, კომკავშირული განათლების ქსელში, კომუნისტური შრომის სკოლებში. ეს დიდი მოვლენაა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში.

ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს კომპარტიის პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების სისტემის სრულყოფის, პროპაგანდისტთა კადრების თეორიული და მეთოდიკური დონის ამაღლებისათვის. პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშობა მიზნად ისახავს უზრუნველყოს პარტიული სწავლების, ეკონომიკური განათლების, კომკავშირული პოლიტიკური განათლების მაღალი მეცნიერული დონე, გახადოს იგი უფრო კონკრეტული, საგნობრივი, განამტკიცოს მისი კავშირი ცხოვრებასთან, სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან.

მთელ ამ მუშობას საფუძვლად უდევს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი.

„პარტიული განათლების დარგში ამოცანა ის არის, — აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, — რომ მომავალშიც გავაუმჯობესოთ ეს მუშაობა, უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ პოლიტიკური სწავლება კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს, მივაღწიოთ იმას, რომ მან კიდევ უფრო ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს პარტიის ყველა წევრის შეგნებულობისა და აქტიურობის ზრდაზე“.

გასული სასწავლო წლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური სწავლება, ეკონომიკური განათლება, კომკავშირელთა პოლიტიკური სწავლება, კომუნისტური შრომის სკოლების საქმიანობა ექვემდებარებოდა კომუნისტების, ყველა მშრომელის მარქსისტულ-ლენინური წრთობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლების ამოცანებს. მისი თავისებურება იყო ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა, აქტიური მზადება სკკპ XXVI ყრილობისათვის.

მაინც რას ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება გასულ სასწავლო წელს?

როგორც აღვნიშნეთ, მთავარი ყურადღება დაეთმო ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობის, თანამედროვეობის ისეთი აქტუალური საკითხების შესწავლას, როგორიც არის: ლენინიზმი ჩვენი ეპოქის რევოლუციური დროშაა; ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს; სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალები; ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ლენინის იდეური მემკვიდრეობის შესწავლისას კომუნისტები სისტემატურად ეცნობოდნენ პირველწყაროებს, მის ფუძემდებლურ შრომებს. ეს გახდა სასწავლო წლის დიდმნიშვნელოვანი თავისებურება.

ეწყობოდა თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ლენინური თეორიის მნიშვნელოვან პრობლემებზე, მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებისა და თანამედროვეობის სხვა აქტუალურ საკითხებზე. რესპუბლიკაში განხორციელდა ღონისძიებათა ციკლი: „საქართველოს პროპაგანდისტთა ლენინიანა“.

სპეციალური მეცადინეობები დაეთმო სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, აგრეთვე „დაგეგმვის გაუმჯობესების და წარმოების ეფექტიანობისა“ და მუშაობის ხარისხზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ფართო განმარტებასა და შესწავლას. სწავლების ყველა ფორმაში ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით შეისწავლეს და სახელმძღვანელოდ გაიხადეს საქართველოს კომპარტიის მიმართვა მუშების, კოლმეურნეების, სახალხო ინტელიგენციის, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელისადმი.

მეურნეობრიობის მექანიზმის შემდგომი სრულყოფის პრობლემები და გზები სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების, მშრომელთა ფართო მასების ღრმა შესწავლის საგანი გახდა. ამ თემების შესწავლამ ხელი შეუწყო შრომით კოლექტივებში რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებას.

მზარდი პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში გაიმართა შინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი სემინარ-ლექტორიუმი, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ხელმძღვანელობს. სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობის ხარისხზე კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ის, რომ მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, ქვეყნის წამყვანი მეცნიერები.

კვლავაც ფართოდ და წარმატებით ვითარდება პროპაგანდისტულ საქმიანობაში ხელმძღვანელ მუშაკთა მასობრივი მონაწილეობის პრაქტიკა. ხელმძღვანელები რეგულარულად გამოდიან მსმენელთა წინაშე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საკითხებზე, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, პარტიის პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებზე, ეს ზრდის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებისათვის.

კარგად არის ცნობილი, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების წარმატება მთლიანად არის დამოკიდებული პროპაგანდისტთა კადრების თეორიულ და მეთოდიკურ დონეზე. პარტია გვასწავლის: მარჯვედ შეაჩჩიონ, ასწავლონ და აღზარდონ პროპაგანდისტები, არ მოაკლონ მათ ყოველდღიური მზრუნველობა და ყურადღება — ეს ყველა პარტიული კომიტეტის მოვალეობაა. პროპაგანდისტს, იდეოლოგიურ მუშაკს მართებს მაღალი პასუხისმგებლობა აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსისა და შედეგებისათვის, ადამიანებთან მუშაობასს ახალი ფორმებისა და მეთოდების შემოქმედებითი ძიება, ამიტომ არის, რომ პარტიული ორგანიზაციები დღენიადაგ ზრუნავენ მათი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის.

გასულ სასწავლო წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა პროპაგანდისტთა კადრების შემადგენლობა, მათი აღზრდა. გაძლიერდა პროპაგანდისტთა პასუხისმგებლობა აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსისა და შედეგებისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში 39.537 პროპაგანდისტიდან 36.120 უმაღლესი განათლება აქვს, ხოლო 35.881 პროპაგანდისტი კომუნისტია, 14 ათასამდე პროპაგანდისტს პროპაგანდისტული მუშაობის ათ წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. პროპაგანდისტთა შემადგენლობა მართლაც რომ, ინტერნაციონალურია. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ამ არმიაში ქართველებთან ერთად მარქსისტულ-ლენინური იდეების პროპაგანდას ეწევიან რუსები, აფხაზები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, უკრაინელები, ბერძნები, ქურთები, ესტონელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის პოლიტიკური სწავლებისა და ეკონომიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობის დადებითი გამოცდილება: თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ზესტაფონის, გორის, ხაშურის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, ლენტეხის, დუშეთის, საგარეჯოს, ბორჯომის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა სამეცნიერო-პრაქტიკული, თეორიული და მეთოდიკური კონფერენციები პროპაგანდისტებისა და მსმენელების დასახმარებლად; ფართოდ გამოიყენება დადებითი გამოცდილების გავრცელების ისეთი ფორმა, როგორიც არის ღია მეცადინეობები. ამ მხრივ ნაყოფიერად მუშაობენ პარტიის წყალტუბოს, ჩხოროწყუს, გუდაუთის, ლანჩხუთის, სიღნაღის, ასპინძის, ახალქალაქის, ვანის რაიონული კომიტეტები.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლი, რუსთავის, ფოთის საქალაქო კომიტეტების, მახარაძის, საჩხერის, თელავის რაიონული კომიტეტების პოლიტიკური განათლების კაბინეტები პროპაგანდისტებს სისტემატურად აწვდიან მეთოდიკურ დამუშავებებს, თვალსაჩინოებას, სოციალისტური შეჯიბრების ამსახველ მასალებს.

პარტიის ტყიბულის საქალაქო, მცხეთის, ჩოხატაურის, სოხუმის, თერჯოლის, გუდაუთის რაიონული კომიტეტები იყენებენ პოლიტიკური სწავლების სისტემისადმი ხელმძღვანელობის ისეთ ფორმას, როგორიც არის პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომებზე პროპაგანდისტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის, საწარმოს, დაწესებულების, სამეურნეო ხელმძღვანელის ანგარიშის მოსმენა.

პარტიის ცხაკაიას, ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტები სისტემატურ ყურადღებას უთმობენ კომკავშირელების, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებს, ზრუნავენ მათი პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების პრაქტიკის სრულყოფის საკითხებს.

წარმატებები თვალსაჩინო და ხელშესახებია, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ სერიოზული ნაკლოვანებები, ფორმალიზმის ელემენტები, რომელიც იდეოლოგიური მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე შეიმჩნევა. საქმე, ის არის, რომ ზოგიერთი პარტიული კომიტეტი და პარტიული ორგანიზაცია ღრმად და კომპეტენტურად ვერ ხელმძღვანელობს მშრომელთა პოლიტიკურ სწავლებას, ჯეროვნად არ ახორციელებს კონტროლს მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლიანი და შემოქმედებითი სწავლისადმი. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჯერ კიდევ დაძლეული არ არის ფორმალიზმი და შაბლონი, მეცადინეობის ხარისხი ყოველთვის არ შეესაბამება მსმენელთა განათლებისა და კულტურის დონეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ განიხილა კომუნისტების, კომკავშირელების, მშრომელთა პოლიტიკურ სწავლებაში ფორმალიზმის ელემენტების დაძლევისათვის პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მუშაობის საკითხი, აღნიშნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი და დასახა მათი აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

ნაკლოვანებებია ეკონომიკური განათლების სისტემაშიც. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად ვერ აფასებს ეკონომიკური განათლების, როგორც შრომითი მოღვაწეობის ეფექტიანობის ამაღლების, ერთ-ერთი მიმართულების როლს. სწავლების ხარისხი ვერ უპასუხებს მშრომელთა მასების ეკონომიკური აღზრდის თანამედროვე მოთხოვნებს, ჯერ კიდევ სუსტია ეკონომიკური ცოდნის პროპაგანდის კავშირი ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპის ამოცანების გადაწყვეტასთან და ა. შ.

საზეიმოდ შესვენების პეროდში პარტიულმა ორგანიზაციებმა ღრმად და საფუძვლიანად გააანალიზეს ეს და სხვა ნაკლოვანებანი, აგრეთვე ღია პარტიული კრებების — „ვიცხოვროთ, ვიშრომოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად“ — მასალები, კომუნისტებისა და უპარტიოების წინადადებები და დროულად დაიწყეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება.

სასწავლო წლისათვის მზადების თავისებურება ის არის, რომ იგი მიმდინარეობს შეკავ ხუთწლედის დამამთავრებელ ეტაპზე, სკკპ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის მასალების შესწავლის პერიოდში. საინტერესო თაოსნობა „ლენინური პარტიის ყრილობა — დამკვრელური შრომა, სანმეშო ყოფა“, წამოიწყო თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლამ. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც ფართო მუშაობა გააჩაღეს მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

მისასალმებელია, რომ პარტიის ჩხოროწყუს რაიკომმა ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური პლენუმი, პარტიის ქუთაისის ლენინის, ვანის რაიკომებმა ეს საკითხი განიხილეს თავიანთი ბიუროს სხდომებზე. იდეოლოგიური დარგის მუშაკთა სპეციალური შეკრება მოაწყო პარტიის ამბროლაურის რაიკომმა, მიტინგები გაიმართა ასპინძასა და თელავში.

საერთაშორისო ცხოვრება
დღეს ამ ფურცლებზე

საპატრიოტო და ახალი ომების საგანგებო კორესპონდენტები ერა ფაშისტობისა

საბჭოთა კავშირ-შვეიცარის სამთავრობათაშორისო კომისია თბილისში

24 სექტემბერს თბილისში მუშაობას იწყებს საბჭოთა კავშირ-შვეიცარის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის IX სესია.

საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილე ი. ლ. ბრეჟნევი. შვეიცარიის დელეგაციის ხელმძღვანელია შვეიცარიის მრეწველობის მინისტრი ნელს გ. ოსლინგი.

23 სექტემბერს სესიის მონაწილეები ჩამოვიდნენ საქართველოს დედაქალაქში. მათთან ერთად თბილისში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის ელჩი შვეიცარიაში მ. დ. იაკოვლევი, შვეიცარიის ელჩი სსრ კავშირში კარლ დე გეერი.

თბილისის აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, რესპუბლიკის ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი ა. ო. მოვსესიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსი ლ. ნ. მატარაძე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ვ. ქვილითაია, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ნ. ოკლეი, საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. ოყროშიძე და სხვა ოფიციალური პირები. (საქინფორმი).

სირიის დღეები საქართველოში

მეგობრობის მარშრუტებით

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრობის დღეები თბილისში.

მეგობარი სირიელი ხალხის წარმომადგენლებს მიესალმა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. მელაძე. მან მაღალი შეფასება მისცა იმ როლს, რომელსაც დღეს ახლო აღმოსავლეთში ასრულებს სირიის არაბთა რესპუბლიკა, როგორც არაბი ხალხების ერთიანობის ბურჯი, ურყევი ბასტიონი იმპერიალიზმის გზაზე.

„სსრ კავშირ-არაბული ქვეყნების“ მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა კ. წერეთელმა ილაპარაკა საზოგადოების საქმიანობის, საქართველო-სირიის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიის შესახებ.

არაბი ხალხების, მათ შორის სირიელი ხალხის მდიდარ კულტურის პროპაგანდისათვის დიდ მეშაობას ეწევა „სსრ კავშირ-არაბული ქვეყნების“ მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება. იგი სისტემატურად აწყობს არაბული მუსიკისა და ლიტერატურის საღამოებს, აღნიშნავს არაბი ხალხების ყველა დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

სირიის დელეგაციის ხელმძღვანელმა, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის (ბაათისტური) ლენინგრადის ორგანიზაციის მდივანმა ალ-ბეთ-სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აღმასკომის წევრმა ალი ბადურამ მხურვალე მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულითადი მიღებისათვის. ახლანდელი ჩვენი შეხვედრა, თქვა მან, ადასტურებს ორივე ხალხის მისწრაფებას მეგობრული თანამშრომლობის გაღრმავებისადმი. ჩვენს ქვეყნებს აერთიანებს საერთო მიზნები და ამოცანები: ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის, საყოველთაო პროგრესისათვის, ამერიკის იმპერიალიზმისა და საერთაშორისო სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენ დიდად გაფასებთ სსრ კავშირის მთავრობას, რომელიც ადგას ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის დამკვიდრების პრინციპულ პოზიციას და მხარს უჭერს ჩვენს მისწრაფებას ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლებისადმი. საბჭოთა ხალხის დახმარების წყალობით სირიაში წარმატებით ვითარდება ეკონომიკის ისეთი დარგები, როგორიც არის ქიმიური და ნავთობის მრეწველობა, ენერგეტიკა. ამხანაგმა ალი ბადურამ გამოთქვა რწმენა, რომ სირიის დღეები საქართველოში ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

დღეების გახსნაზე გამოვიდა სირიის ფოლკლორული ანსამბლი „ომეია“. (საქინფორმი).

სურათზე: სირიის წარმომადგენლები ათვალიერებენ გურჯაანის მემორიალს „ჯარსკაცის მამა“.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ომის საშიშროების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმის — „აღმოსავლეთ-დასავლეთ“ — ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXV სესია თავისი მუშაობის მეორე კვირას იწყებს. გაერთიანების წევრი ქვეყნების დიდი უმრავლესობის დელეგაციებს შეგნებული აქვთ, რომ მთავარი ამოცანაა შეიფერხონ გამალებული შეიარაღება, შეაჩერონ ახალი „ცივი ომისაკენ“ დაქანება, შეამცირონ ომის საშიშროება. როგორც ფორუმის გახსნის წინ გართიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ჟურნალისტებს განუცხადა, ყველა სახელმწიფომ ეს სესია უნდა გამოიყენოს მწვავე საერთაშორისო პრობლემათა გადაწყვეტის გზების ეფექტიანი ძიებისათვის. ამასთან გამოიჩინონ მოქნილობა და მზად იყვნენ თანამშრომლობისათვის.

სწორედ ასეთ მიზნებს ისახავს სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მიერ წამოყენებული კონკრეტული რეალური ღონისძიებების ფართო პროგრამა, რომლებიც საფუძვლად დაედება სესიაზე მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო უშიშროების საკითხებისადმი მიძღვნილ დისკუსიას.

საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების საარსებო მნიშვნელობას და აქტუალობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ესოეს ორის დამთავრებულ მთავრობის ექსპერტთა სპეციალური ჯგუფის პირველ შეხვედრაზე, რომელმაც შეიმუშავა საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების დეკლარაციის განხორციელების რეკომენდაციები. როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მერ სსრ კავშირის წინადადებით მომზადებული და მიღებული დეკლარაცია გახდა სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ხელი შეუწყო დაძაბულობის შენელების გაღრმავების ტენდენციის განვითარებას. ექსპერტების რწმენით, ერთობ საჭიროა პრაქტიკულად განხორციელდეს ამ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტის დებულებანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების გზაა კონკრეტული პრობლემებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკება, თანასწორობის პრინციპების მკაცრ დაცვაზე დაფარებული ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების საშუალებათა კულმოდგინე ძიება. როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვეიპროსის წარმომადგენელმა ზ. როსიდისმა ჯანცხადა, საჭიროა უწინარეს ყოვლისა საიმედოდ გადაეფიქტოთ გზა გამალებულ ბირთვულ შეიარაღებას, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქადის კაცობრიობას. საამისოდ საჭიროა ვიმოქმედოთ კოლექტიურ საფუძველზე და, მკვეთრად გართულებული საერთაშორისო ვითარების მიუხედავად მივაღწიოთ ურთიერთობის განმტკიცებას. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.

განიარაღების დარგში კონკრეტული შედეგების მიღწევა, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა ხა ვან ლაუმ, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ახლანდელ პირობებში, როცა ამერიკის იმპერიალიზმი და მისი ნატოელი მოკავშირენი ყველა ლამობენ გაამაჯარონ გამალებული შეიარაღება, ომით ემუქრებიან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს. ვიეტნამის დელეგატმა აღნიშნა, თუ რა სერიოზულ საშიშროებას უქმნის მშვიდობის საქმეს ვაშინგტონისა და პეკინელი ექსპანსიონისტების სულ უფრო მზარდი თანამშრომლობა სამხედრო დარგში. მათი ერთობლივი მოქმედება აძლიერებს დაძაბულობას, ერთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. აი ამიტომ არის ესოდენ დროული საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მეცადინეობა, რომლის მიზანია მსოფლიო გაერთიანების ყურადღება მიაპყროს იმას, რომ საჭიროა განახორციელოს გაბაარალების პრაქტიკული ღონისძიებანი, მიაღწიოს 80-იან წლებში ძირეულ ძვრას ამ დარგში, ხაზგასმით აღნიშნა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა.

ყოველი მხრიდან

23 სექტემბერი

● **ბუდაპეშტი.** 2.500 ტონა სიმძლავრის ახალი წნეხის გამოცდა დაიწყო სეკეშფეჰერვარის მსუბუქი შენადნობების კომბინატში. ამ აგრეგატის ამოქმედების მეშვეობით საწარმოში წლის დამლევამდე დამატებით გამოუშვებენ 500 ათას ტონა ნაწარმს. ახალ საწნეხ მოწყობილობას დგამენ კომბინატის გაფართოების პროგრამის შესაბამისად.

● **ბრიუსელი.** ბელგიის ტელევიზიით გამოსვლისას, სოციალისტური პარტიის (ფლამანდელთა) თავმჯდომარემ კარელ ვან მიერტმა მხარი დაუჭირა გამალებული ბირთვული შეიარაღებას შეწყვეტას. მან მთავრობებს მოუწოდა, სასწრაფოდ დაიწყონ მოლაპარაკება ევროპაში რაკეტულ-ბირთვული არსენალის შემცირების შესახებ.

● **ვენა.** ავსტრიაში გრძელდება იმ წვრილი და საშუალო საწარმოების გაკოტრების პროცესი, რომლებიც ვერ უძლებენ უფრო დიდი კომპანიების, უწინარეს ყოვლისა კი საერთაშორისო კორპორაციების კონკურენციას ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მარტო მიმდინარე წლის აგვისტოში არსებობა შეწყვიტა 80-ზე მეტმა ფირმამ. ყველაზე მეტი გაკოტრება აღრიცხულია სამშენებლო და საფეიქრო მრეწველობაში, აგრეთვე მომსახურების სფეროში.

სახიფათო მანევრი

პარიზი, 23 სექტემბერი. „ოცნება ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილი „ევროპის ტიტუმვირატზე“ — ასეთი სათაურით ბეჭდავს გაზეთი „ლუმანიტე“ სტატიას, რომელიც პარიზში გამართული საფრანგეთ-ინგლისის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებს ეძღვნება.

გაზეთი ყურადღებას მიაპყრობს ინგლისური „დეიდი ექსპრესის“ ცნობას, რომ ევრამანის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰ. შმიდტს, ინგლისის პრემიერ-მინისტრს მ. ტატჩერსა და საფრანგეთის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დესტენს შეეძლოთ შეექმნათ თავისებური ტრიუმვირატი და ერთობლივი მეცადინეობით უზრუნველეყოთ „ატლანტიკური კავშირის მძლავრი ხელმძღვანელობა“. განმარტავს რა ამ გამონათქვამს, „ლუმანიტე“ წერს: აქ თავს იჩენს მთავარი მანევრის არსი: საფრანგეთი ჩაითრიონ ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილ ტრიუმვირატში, რომელშიც ინგლისი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოში ინტეგრირებული თავიანთი შეიარაღებული ძალებითურთ საფრანგეთს მოუსპობდნენ დამოუკიდებელი მოქმედების ყოველგვარ შესაძლებლობას“. „ლუმანიტეს“ აზრით, ეს მანევრი მით უფრო საშიშია, რომ უკვე დიდი ხანია ცდილობენ ნატოს ერთიანი სამხედრო მანევრებში მონაწილეობა მიაღებინონ საფრანგეთს.

ბაღდადი, 23 სექტემბერი. ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭომ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს უბრძანა დარტყმები მიაყენონ ირანის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ობიექტებს.

რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, ერაყის პრეზიდენტის ს. ჰუსეინის ხელმოწერილ განცხადებაში ნათქვამია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია ბოლო ორი დღის მანძილზე ირანის სამხედრო ოპერაციათა პასუხად, რომელთა მიზანი იყო მდინარე შათ-ელ-არაბზე ნაოსნობისათვის ხელის შეშლა.

რევოლუციური სარდლობის საბჭომ ხაზი გაუსვა, რომ ერაყის ჯარები არ მიაყენებენ დარტყმებს სამოქალაქო ობიექტებს, თუ ირანის მხარეც თავს შეიკავებს ამგვარი მოქმედებისაგან.

ერაყის სამხედრო სარდლობის აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაბომბეს ირანის ათი აეროდრომი და სამხედრო-საჰაერო ბაზა.

პარიზი. ირანის ეროვნული თავდაცვის საბჭოს წევრმა ხოჯათ-ოლ-ესლამ ხამენეიმ, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, თეირანის რადიოთი გამოქვეყნა განცხადება, რომელშიც დაადასტურა, რომ ერაყის ავიაცია თავს დაესხა ირანის რამდენიმე სამხედრო-საჰაერო ბაზას.

ხამენეიმ ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა შეინარჩუნოს სიმშვიდე, არ მიუახლოვდეს სამხედრო ობიექტებსა და ბაზებს და აღკვეთოს კონტრრევოლუციური ძალგამომთხრელი ხმების გავრცელება.

კუვეიტი. კუვეიტის გაზეთი „ალ-ვათანი“ წერს, რომ სპარსეთის ყურის რაიონში მყოფი ამერიკის სამხედრო ხომალდები მიიწევენ ირანსა და ერაყს შორის სამხედრო მოქმედების ზონისაკენ.

ბეირუთი. არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურმა მდივანმა შ. კლიბმ დიდი წუხილი გამოთქვა ერაყ-ირანის საზღვარზე მიმდინარე კონფლიქტის გამო. ლიბანის ყოველდღიურეულის „მანდი მორნინგისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა რომ ახლანდელი ომების შეიძლება გადაიქცეს ორი ქვეყნის ომად, რაც არაბთა გულისტკივილს იწვევს. ჩვენ, თქვა შემდეგ შ. კლიბმ, მხარს ვუჭერთ ერაყისა და ირანის ურთიერთობის ნორმალიზაციას ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

კონფლიქტი ფართოვდება

ერაყ-ირანის ომი ფართოვდება. ერაყის ავიაციამ ბომბი დააყარა ირანის ქალაქ ბუშერის ნავსადგურ ბანდარ-ბუშერს. ირანელ ოფიციალურ პირთა ცნობით, ერაყელ მფრინავებს ბომბი ჩამოაგდეს ბუშერის ნავსადგურ ბანდარ-ბუშერ-ბაზაზე

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში საბინაო პრობლემა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უმწვავეს პრობლემად არის მიჩნეული.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ბინის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი, ამას წინათ საყოველთაოსახალხო განხილვისათვის რომ გამოქვეყნდა, ანლებურად წყვეტს საბინაო უთანაბრობას და სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა ბინის უფლების უზრუნველყოფის განხორციელების ახალი დადასტურებაა.

ერთიანი საბინაო კანონმდებლობის შემოღება წინგადადგმული ნაბიჯია და „დიდ დაბმარებას გაუწევს პრაქტიკულ მუშაკებს. საფუძვლების პროექტში ბევრი საახლია, გადაწყვეტილია ბევრი საკითხი, რომლებიც აქამდე დაუსრულებელ დავას იწვევდა. ყველა სიახლე გამსჭვალულია ჰუმანური სულისკვეთებით და მიზნად ისახავს მოქალაქეთა კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას.

პროექტში გადაწყვეტილია პირადი მესაკუთრის აღრიცხვაზე აყვანის საკითხი. პირადი მესაკუთრის საცხოვრებელი სადგომებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს საერთო საფუძველზე; აღნიშნული საკითხი აქამდე არც კანონმდებლობით, არც ბინების გაფაწელების შესახებ დებულებით მოგვარებული არ ყოფილა, რაც გუთავებელ საჩივრებს იწვევდა. პროექტმა დაუზუსტა საცხოვრებელი სადგომის პირველ რიგში და ურიგოდ მიცემის შემთხვევები.

პროექტის მე-19 მუხლი შეიცავს მნიშვნელოვან მითითებას, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში მოქალაქეებს საცხოვრებელი სადგომი მიეცეთ, როგორც წესი, ოჯახისათვის, ცალკე ბინის სახით. საკანონმდებლო წესით ცალკე ბინის მოთხოვნის უფლების აღიარება მოქალაქეთა კეთილდღეობის შემდგომი გაუთბილესებისათვის ზრუნვის გამოხატულებაა. ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ ხშირია ერთ ოზოლარებულ ბინაში რამდენიმე ოჯახის შესახლების ფაქტები, რაც მეზობლური კონფლიქტების წარმოშობის საფუძველი ხდება. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობ, სპირო იქნებოდა ამ მუხლში გარკვეული იყოს მითითებული, რომ დაუშვებელია ცალკე ბინაში ორი და მეტი ოჯახის შესახლება.

საფუძვლების პროექტში პირველად გამოიყო ცალკე მუხლი საცხოვრებელი ფართობის ნორმის შესახებ და 24-ე მუხლი ადგენს, რომ საცხოვრებელი ფართობის ნორმა არ შეიძლება იყოს ცხრა კვადრატულ მეტრზე ნაკლები.

ნორმის მინიმუმის დაწესება უეჭველად წინგადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან, როგორც ვიცით, ზოგიერთი სხვა რესპუბლიკისა და ქალაქის მსგავსად, თბილისშიც საცხოვრებელი ფართობის განაწილების შესახებ დებულება, კოდექსებით დადგენილი ნორმებისაგან გადახვევით, საცხოვრებელი ფართობის მინიმალურ ნორმად აღდგენდა რვა კვადრატულ მეტრს. საფუძვლების პროექტის მიხედვით ეს მინიმუმი ცხრა კვადრატულ მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

საცხოვრებელი სადგომისადმი წაყენებული მოთხოვნების განხილვის დროს საფუძვლების პროექტი მეტად მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს, როდესაც მიუთითებს: საცხოვრებელი სადგომის მიცემისას არ დაიშვება ერთ ოთახში ცხრა წელიწადზე უხნესი სხვადასხვა სქესის პირთა შესახლება, მეუღლეთა გარდა. აქამდე სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 310-ე მუხლის ანალოგიით, მაგრამ აღნიშნული მუხლი ითვალისწინებდა ამ პირობების დაცვას მხოლოდ ზედმეტი ფართობის ჩამორთმევის დროს და ამასთან არ იყო მითითებული სხვადასხვა სქესის პირთა ასაკი, და სასამართლო მხოლოდ ამ პირთა სრულწლოვანების შემთხვევაში იყენებდა ამ მუხლს. არც ისე იშვიათად ოჯახის ორ წევრს — დედას და ვაჟიშვილს, ან და-ძმას სთავაზობდნენ ერთოთახიან ბინას, რომლის ფართობი მართალია შეესაბამებოდა საცხოვრებელი ფართობის დადგენილ ნორმას, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული შესასახლებელ პირთა სქესი.

შესასახლებელ სხვადასხვა სქესის პირთა ასაკის დაწესება, რა თქმა უნდა, მეტ მოთხოვნებს უყენებს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ვინაიდან ბავშვების ასაკის გათვალისწინებისას შასამჩნევად იზრდება გასაცემი ფართობის ოდენობა, მით უმეტეს, რომ გაზრდილია საცხოვრებელი ფართობის ნორმის მინიმუმი. ეს კი, თუ გავითვალისწინებთ აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთა რაოდენობას და საბინაო პრობლემის სიმწვავეს, ბევრ სიძნელეს წარმოქმნის. ამიტომ, იქნებ სჯობდეს, ერთ ოთახში შესახლება შეგვეზღუდა არა 9, არამედ 12 წლის ასაკს გადაცილების შემდეგ, როდესაც ფაქტობრივად დგება კიდევ განრიდების აუცილებლობის პერიოდი.

შეიძლება ითქვას, რომ ბინის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტმა ვერ გადაწყვიტა ვერც ქირაენობის ხელშეკრულების შეცვლის საკითხი, თუ დამქირავებელს ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი გაუჩნდა, ისე როგორც არ არის გადაწყვეტილი აღნიშნული საკითხი არც ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 310-ე მუხლი ფაქტობრივად უმოქმედო მუხლია და მას პრაქტიკული გამოყენება არა აქვს. ეს გასაგებია, ამ მუხლის თანახმად ზედმეტი ოზოლირებული ოთახის ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი თვითონ არავის ჩაისახლებს ამ ოთახში სამი თვის განმავლობაში, საბინაო ორგანოს წერილობითი გფრთხილების შემდეგ. ამასთან კანონი არ აწესებს რაიმე შეზღუდვას, ვის ჩაისახლებს დამქირავებელი, სჭირდება თუ არა ჩასასახლებელს ფართობი, არის თუ არა აღრიცხვაზე, არსებობს თუ არა ნათესაური კავშირი და სხვ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განმარტებით, ნამეტ ფართობში ჩასახლებულს უფლება დამქირავებელს ეძლევა იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბინაო ორგანოები არ მოითხოვენ ჩამორთმევას და არ არსებობს წერილობითი გაფრთხილება. დამქირავებლისათვის ნებისმიერი პირის ჩასახლების უფლების მიცემა ნიშნავს, რომ იგი ფაქტობრივად თვითონ ანაწილებს საცხოვრებელ ფართობს, ვინაიდან ამის შემდეგ დგება საბინაო ორგანოების ვალდებულება გაუფორმოს ჩასახლებულ პირს ქირავნობის ხელშეკრულება ზედმეტ ფართობზე.

პროექტის 29-ე მუხლი ფაქტობრივად არ წყვეტს ამ მეტად მტკივნეულ საკითხს და მიუთითებს დამქირავებლის მხოლოდ უფლებაზე მოითხოვოს ნაკლები ოდენობის საცხოვრებელი ფართობი დაკავებულის ნაცვლად. ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ხელს ვიღებთ ნამეტი ფართობის ჩამორთმევაზე.

მართებულად იყო აღნიშნული პროექტის გამო გაზეთის ერთერთ ნომერში მოთავსებულ გამოსვლაში, რომ ნამეტი ფართობის ჩაბარება დამქირავებლის ვალდებულება უნდა იყოს და ასეთი ფართობის ჩამორთმევა კანონმდებელმა აუცილებლობად უნდა გამოაცხადოს. ამით გამორიცხული იქნება ისეთი შემთხვევა, როდესაც საცხოვრებელი ფართობის საერთო ნაკლებობის პირობებში, ერთ სულს, რაც დღეს არც ისე იშვიათად ხდება, სამოთახიანი და უფრო მეტი ფართობის ბინა უჭირავს.

ვფიქრობთ, საბინაო ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება გადაიყვანონ დამქირავებელი, რომელსაც ზედმეტი ფართობი გაუჩნდა, ნაკლები ოდენობის საცხოვრებელ ფართობში (საცხოვრებელი სადგომის მდებარეობის, სართულის და სხვა თვალსაზრისით მისი უფლებების შეულახავად).

საფუძვლების პროექტის მეტად საჭირო სიახლეა 33-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც საცხოვრებელი სადგომის იძულებით გაცვლას შეეხება იმ შემთხვევაში, თუ სადგომში მცხოვრებმა პირებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას გაცვლის შესახებ. იძულებით გაცვლა პრაქტიკის ყველაზე საჭირბოროტო საკითხია. აქამდე აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო წესით მოგვარებული არ ყოფილა. დავა წყდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მითითებათა საფუძველზე. ცალკეულ საქმეებზე, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა სხვადასხვა მიდგომა ამ საკითხის გადაწყვეტის დროს.

ამიტომ ამ საკითხის საერთოსაკავშირო საკანონმდებლო აქტით მოწესრიგება აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ პროექტის წარმოდგენილი რედაქცია, ვფიქრობ, დასაზუსტებელია — გაუგებარია, რა იგულისხმება, როდესაც პროექტი მიუთითებს, „თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას“, აქ შედის თუ არა ის შემთხვევაც, როდესაც ერთ-ერთი მხარე საერთოდ უარს ამბობს ბინიდან წასვლაზე, ამასთან, პროექტის თანახმად სადგომი შოლიახად უნდა გაიცვალოს სხვადასხვა სადგომებზე. მაგრამ პროექტაში ზხრია შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ მხარეს აქვს საშუალება თვითონ დარჩეს მთლიან ბინაში და გადაიყვანოს მეორე მოდავე მხარე სხვა სადგომში, მისი უფლებების შეულახავად და ისეთ პირობებში, როგორიც ექნებოდა მას მაშინაც, თუ გაიცვლებოდა მთელი სადგომი. იძულებითი გაცვლის ასეთი ვარიანტი პრაქტიკაში ხშირად დგება, იგი არ ეწინააღმდეგება იძულებით გაცვლის საერთო წესს და მისი გათვალისწინება საფუძვლებში აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი გაცვლის მოთხოვნა იურიდიულ საფუძველს მოკლებული აღმოჩნდება და ვერ შეუწყობს ხელს ოჯახური კონფლიქტების თავიდან აცილებას.

საფუძვლების პროექტმა მთლიანად შეცვალა საუწყებო სახლებიდან გამოსახლების აქამდე მოქმედი წესი და მის მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემის გარეშე ამ სახლებიდან გასახლება პროექტით არ დაიშვება. მაგრამ, ვფიქრობ, დაზუსტებას მოითხოვს, რა პირობებში და ვინ უნდა მისცეს გამოსასახლებელს სხვა საცხოვრებელი სადგომი, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ეს სადგომი. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ყოველ უწყებას არ შეიძლება თავის განკარგულებაში ჰქონდეს თავისუფალი საცხოვრებელი სადგომი გამოსასახლებელი პირისათვის შესათავაზებლად. სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით გასახლების ყველა სხვა შემთხვევის დროს (ასაღებია, სახლის ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება და სხვ.) პროექტის იგივე 27-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ მოქალაქეს უნდა მიეცეს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომი, ხოლო საუწყებო სახლებიდან გამოსახლების დროს საფუძვლები საერთოდ არ მიუთითებს, როგორი უნდა იყოს ეს სადგომი, რაც გაურკვევლობას გამოიწვევს დავის გადაწყვეტის დროს.

ლ. ᲩᲘᲠᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ

1980-81 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ თეატრალური სეზონი ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრისათვის საკმაოდ რთული და პასუხსაგები იქნება, ვინაიდან შემოქმედებითი გეზის, გამომსახველობითი ხერხების საბოლოო ფორმირების თვალსაზრისით დასადგმელი რეპერტუარი პირველ რიგში პრობლემატურობით გამოირჩევა.

ახალი სეზონი გაგხსენით კომპოზიტორ გ. ცაბაძის „ცურკას ქორწილით“.

ორი წელია კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი თეატრთან ერთად მუშაობს ვლ. მაიაკოვსკის „ბაღლინჯოს“ მიუზიკლად გარდასახვაზე. და აი, ოქტომბრის შუა რიცხვებში, თეატრი თავის ნამუშევარს უკვე მაყურებელს წარუდგენს განსასჯელად. თეატრი შეეცადა ჩასწვდომოდა რთული ლიტერატურულ-მუსიკალური დრამატურგიის მაიაკოვსკისეულ არსს, რამაც სრულიად ვანსხვავებული რეჟისორული და აქტიორული გამომსახველობითი ხერხები მოითხოვა. სპექტაკლი ეძღვნება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობებს. „ბაღლინჯოს“ დგამს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი გ. მელაძეა, დირიჟორი თეატრის მთავარი დირიჟორი ა. მამაცაშვილი, მხატვარი — თეატრის მთავარი მხატვარი უ. იმერლიშვილი, ბალეტმაისტერი — ი. ზარეკაი.

პოლონეთის ლოძის მუსიკალურ თეატრსა და ჩვენს თეატრს შორის დადებული ვანახლებული შემოქმედებითი ხელშეკრულების საფუძველზე ლოძის მუსიკალური თეატრის დამდგმელთა ჯგუფი (დამდგმელი რეჟისორი ა. დლუგოში, მხატვარი ა. პობროვსკაია, ბალეტმაისტერი ვ. ტრაჩევსკი) დგამს ოფენბახის „პერიკოლას“. სპექტაკლი ლოძის მუსიკალურ თეატრში დადგმული წარმოდგენის ანალოგიური იქნება, ვინაიდან მიმდინარე წლის დეკემბერსა და 1981 წლის თებერვალში ამ ორ თეატრს შორის გაიცვლებიან ძირითადი როლების შემსრულებლები — პოლონელები მიიღებენ მონაწილეობას ქართულ სპექტაკლში, ხოლო ქართველები — პოლონურში.

თეატრი ამ სეზონში ციდევ ერთხელ მიმართავს კლასიკურ მემკვიდრეობას. რეჟისორი ი. ბაკოლაძე, დირიჟორი გ. კახიანი და მხატვარი ნ. გაფრინდაშვილი ხორცს შეასხამენ ი. ზტრაუსის „ბოშთა ბარონს“.

კომპოზიტორმა ვ. აზარაშვილმა დრამატურგ ლ. ჭუბაბრიასთან ერთად უკვე დაამთავრა მუშაობა ლოპე დე ვეგას ცნობილ პიესაზე „ცაცვის მასწავლებელი“, რომლის დამდგმელი რეჟისორი დ. კობახიძე.

ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ

თეატრი ბოლო წლებში ინტენსიურად მუშაობს სამაგვრო რეპერტუარზე. ამჯერად კომპოზიტორმა ო. გორდელმა და ვლ. იაკაშვილმა შექმნეს მუსიკალური კომედია-ზღაპარი „ნატვრის თვალი“, რომელსაც დგამს რეჟისორი გ. ქართველიშვილი.

ამ დღეებში საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა შ. მილორავამ თეატრში მოიტანა, ჩვენი აზრით, საკმაოდ საინტერესოდ დაწერილი მუსიკალური კომედია „ძოწეწ“ (გ. ერისთავის პიესის მიხედვით). მოსკოველმა ავტორმა ე. ადელერმა შემოგვთავაზა შვარცის პიესის „ურჩხულის“ მიხედვით შექმნილი მიუზიკული (ლიბრეტოს ავტორები — ნ. ადელერი და ნ. რაბინოვიჩი).

კომპოზიტორმა ა. ჩიმაკაძემ დაამთავრა მუშაობა მუსიკალურ კომედიაზე „მაია წყნეთელი“. ამ ნაწარმოების რამდენიმე წელია ელოდება თეატრი.

1980-81 წლის სეზონი იმითაც არის პასუხსაგები, რომ თეატრს განზრახული აქვს საგასტროლო მოგზაურობა მოსკოვსა და ლენინგრადში, აგრეთვე გაცვლითი გასტროლები პოლონეთის ლოძის მუსიკალურ თეატრთან.

Ა. ᲢᲠᲐᲐᲞᲐᲫᲔ,

თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

FIDE — GENS UNA SUMUS

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲡᲬᲠᲘᲜᲒᲖᲔ

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲘᲗᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა გაფრინდაშვილ-იოსელიანის მატჩის მორიგი მეცხრე პარტია. თეორებით თამამობდა იოსელიანი.

მეტოქეებმა გაითამაშეს ესპანური პარტია. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მიმართა დაცვით სისტემას, რომელიც დამუშავებულია დიდოსტატ ზაიცევის მიერ. თეორებმა ერთგვარი პოზიციური უპირატესობა მიიღეს. ცენტრში საინტერესო გართულებები დაიწყო. გაფრინდაშვილი რთული ტაქტიკური პრობლემების გადაწყვეტისას ხანგრძლივად ფიქრობდა და, საბოლოო ანგარიშით, ციტნოტში აღმოჩნდა. იოსელიანმა, რომელიც თანამიმდევრულად თამაშობდა, თვალსაჩინო მატერიალური უპირატესობა მოიპოვა — ზედმეტი ხარისხი და პაიკი დარჩა. ამასთან მან გააევნებლა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ლაზიერის რეიდი.

პარტია გადაიდო და დღეს დამთავრდება.

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ
ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ — ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ

1. e4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. ♁b5 a6 4. ♁a4 ∂f6 5. 0-0 ♁e7 6. ♁e1 b5 7. ♁b3 0-0 8. c3 d6 9. h3 ♁b7 10. d4 ♀e8 11. a4 h6 12. ∂bd2 ♁f8 13. de ∂:e5 14. ∂:e5 ♁:e5 15. ♁c2 ♀e8 16. f3 ♁d8 17. ♀e2 c5 18. ∂f1 d5 19. ♁f4 ♁e7 20. e5 g6 21. ♁h2 ♁g7 22. ♀f2 ∂d7 23. f4 d4 24. ab ab 25. ♁ad1 dc 26. bc b4 27. cb cb 28. ♁g3 ∂f8 29. ♁:b4 ♀:b4 30. ♁:d8 ♀c6 31. ♁ed1 ♁h7 32. ♁c3 ♁d7 33. ♁:d7 ∂:d7 34. ♀d2 ∂c5 35. ♀:b4 ∂e4 36. ♀e1 h5 37. ∂f3 ♀c2 38. ∂e3 ♀e2 39. ♀d4 ∂h6 40. ♀d3 ♀a2 პარტია გადაიდო.

● ●

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲚᲘᲢᲘᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ ვილნიუსში გაიმართა ალექსანდრია-ლიტინსკაიას მატჩის მეექვსე და მეშვიდე პარტიების დამთავრება.

ორივე პარტია მოიგო ლიტინსკაიამ, რომელიც დაწინაურდა ანგარიშით 4:3. დღეს მორიგი მერვე პარტიაა, რომელშიც ალექსანდრია თეთრებით თამაშობს.

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეოთხე ტურის ერთი მატჩი, მოსკოვის „ლოკომოტივმა“ საკუთარ მოედანზე მიიღო კრევნის „არარატი“.

ერევნელმა ფეხბურთელებმა დამაჯერებლად ჩაატარეს ეს შეხვედრა და მოიგეს მატჩი ანგარიშით 3:1.

ᲕᲝᲚᲒᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ. საფრანგეთში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „ტურ დე ლავენირი“, რომლის მეთერთმეტე ეტაპი მოიგო სუხოვრუჩენკოვმა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა კოლუმბიელმა ალფონსო ფლორესმა, რომელმაც მეხუთე ეტაპიდან ხელი იგდო ლიდერის მაისურა და ბოლომდე შეინარჩუნა იგი. ამ ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა გუნდურ ჩათვლაში, პირად ჩათვლაში კი პირველ შეიდეულში მოხვდა ოთხი საბჭოთა სპორტსმენი (სუხოვრუჩენკოვი II ადგილი, კაზარინი— III, ბარანოვი—V, გალიალეტდინოვი—VII). სუხოვრუჩენკოვს მიენიჭა პრიზი ყველაზე „მებრძოლი ხასიათისათვის“, ხოლო გალიალეტდინოვს — „მთის მეფის“ ტიტული.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. დეკემბერის თვის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიისა და იტალიის ნაკრები გუნდები. ფინალური შეხვედრა წლეულს დეკემბერში. გათამაშება პრაღაში.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლე ჩვენი ქვეყნის მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებს მასპინძლობდა. სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ გამოვლინდნენ საკავშირო თასის მფლობელები მრავალჭიდში და ცალკეულ სახეობებში, აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონები ჯგუფურ ვარჯიშში.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საბჭოთა კავშირის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ტატიანა ბატკინს.

— თბილისში სასპარეზოდ ქვეყნის თითქმის ყველა საუკეთესო ტანმოვარჯიშე ჩამოვდა, — გვითხრა ტ. ბატკინმა. — ასევე, ნაკრების მწვრთნელებს საშუალება მოგვეცა შეგვემოწმებინა მათი მომზადების დონე ამ ეტაპზე. ტიტულოვან სპორტსმენთა მხარდამხარ ახალგაზრდებიც იბრძოდნენ და ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე მხატვრული ტანვარჯიში საგრძნობლად „გაახალგაზრდავდა“ — გუშინდელი დებიუტანტები ყველანაირად ეგვლინებიან. ამიტომ არის, რომ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირების პრიზიორთა შორის სულ უფრო ხშირად ვხვდებით 15-16 წლის გოგონებს. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ სპეციალისტთა აზრით ეს ერთმა არასასიამოვნო ტენდენციამ მიიპყრო—რატომღაც „მოდაში“ შემოვიდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა პროგრამაში აკრობატული, ძალისმიერი ელეფენტის ჩართვა, რაც, ჩემი აზრით, მხოლოდ აუფერულებს, ზიანს აყენებს ამ სახეობის სპორტს. საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა, გამომგონებლობა, რასაკვირველია, საჭიროა ერის და აუცილებელიც, მაგრამ ეს იაფფასიანი ტრიუკების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებებშიც იყო მსგავსი მაგალითები, მაგრამ კვალიფიციურ, გამოცდილ არბიტრებს ეს, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და შეფასებაც შესაბამისად დაბალი იყო.

— მხატვრული ტანვარჯიშის საბჭოური სკოლის მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია. აი უკვე მერამდენე წელია, ჩვენს სპორტსმენებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში ბადალი არა ჰყავთ, თუმცა, როგორც უკანასკნელმა საერთაშორისო შეჯიბრებებმა ცხადყო, კონკურენცია სულ უფრო იზრდება.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲖᲔᲛᲝᲗ — Ი. ᲖᲔᲛᲩᲣᲜᲘᲜᲐ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲯᲒᲣᲤᲣᲠ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ; ᲥᲕᲔᲛᲝᲗ—Ე. ᲢᲝᲛᲐᲨᲘᲜᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲣᲠᲯᲘᲗᲘᲗ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ.
Ა. ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Მ. ᲗᲐᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.



ᲛᲔᲢᲙᲘᲪᲚᲔᲑᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმნისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ აფხაზეთის მწერალთა კავშირთან და გამომცემლობა „ალაშარასთან“ ერთად ქართული ენაზე გამოსაცემად მოამზადა აფხაზური ხალხური პოეზიისა და აფხაზური მოთხრობების კრებულები, ი. თარბას ლექსების წიგნი. ორი ახალი გამოცემა — აფხაზური პოეზიის კრებული „აფხაიარა“ და „ამბავი ნართებისა“ — უკვე მიიღო მკითხველმა.

ავტონომიური რესპუბლიკის წიგნის მოყვარულთა ბიბლიოთეკები ახალი შესანიშნავი გამოცემებით გამდიდრდება. აქ არის კლასიკაც და თარგმნილი. მხატვრული ლიტერატურაც, თანამედროვე ქართველი პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებებიც. აფხაზი მკითხველები შეძლებენ მშობლიურ ენაზე გაეცნონ ქართველი სახალხო მთქმელების პოეტურ ნაწარმოებებს, ქართული ლიტერატურის პირველ წერილობითს ძეგლს „შუშანიკის წამებას“, საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს. დასაბეჭდად მზად არის კ. ხეთაგუროვის კრებული „ოსური ქნარი“, პოეტ-ჟანდარმიკოსის ი. აბაშიძის ლექსების კრებული, ქართველი, რუსი და დასავლეთევროპელი პოეტების ნაწარმოებები, რომლებიც აფხაზურ ენაზე მ. ლასურიამ თარგმნა, ჭ. ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“.

აფხაზურ ენაზე გამოიცა პოემები—ვ. მაიაკოვსკის „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ და ა. პუშკინის „ევგენი ონეგინი“, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის შ. ნიშნიანიძის ლექსები. დასაბეჭდად მომზადდა აფხაზური ხალხური პოეზიის კრებული რუსულ ენაზე.

ინტენსიური მუშაობა წარმოიებს ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-ქართული ლექსიკონების შესადგენად.

აფხაზეთის მწერალთა კავშირის თხოვნით მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ შეიმუშავა აფხაზურ ენაზე „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ 46 წიგნისა და „ქართული ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ 22 წიგნის თარგმნის გეგმა. გაიმართა მთავარი სარედაქციო კოლეგიის თათბირი, სადაც განიხილეს ამ სერიათა გამოცემასთან დაკავშირებული საკითხები. წიგნები დაიბეჭდება გამომცემლობა „ალაშარას“ ბაზაზე. კოლეგია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მათს მომზადებაში. პირველი წიგნები 1982-1983 წლებში გამოიცემა.

მწერლების, გამომცემლობათა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების ნაყოფიერი თანამშრომლობა ხელს უწყობს აფხაზი და ქართველი ხალხების ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

(საქინფორმი).

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲘ ᲓᲝᲜᲝᲠᲔᲑᲘ

ᲓᲝᲜᲝᲠᲝᲑᲘᲡ განვითარება მარტო მედიცინის მუშაკთა თავდადებულ მუშაობაზე როდია დამოკიდებული. გადამწყვეტი როლი ამ საქმეში საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებს განეკუთვნებათ. ამ მხრივ მაღლობის ღირსი არიან ტყიბულის № 22 საგზაო უბნის (უფროსი ჯ. ბოცარიძე) და ტყიბულის სადეზინფექციო განყოფილების (უფროსი შ. ხუჯაძე) კოლექტივები. ამ ორგანიზაციებში მრავალი დონორია. მათ შორის მოსაბაძია საგზაო უბნიდან — ნ. ბუიღლიშვილის, ი. ბუაძის, თ. ჯიხუაშვილის, კ. ლაფერაძის, რ. ტურძილაძის, სადეზინფექციო განყოფილებიდან — თ. დიდბარიძის, დ. ბიბილაშვილის, რ. კერესელიძისა და სხვათა მაგალითი.

Ნ. ᲯᲘᲜᲯᲘᲮᲐᲫᲔ.

ᲓᲐᲤᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. ქალაქის ქუჩებში სადღესასწაულო განწყობილება იყო. აქ დიდი ზეიმი გაიმართა, რომელსაც ამიერიდან სახალხო ზეიმი — „შემოქმედობა“ ჰქვია.

ქალაქის ცენტრში ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე უთავრავი ხალხი შეგროვდა. მიტინგი მიეძღვნა მეათე ხუთწლედში გამარჯვებულ მახარაძელ მეჩაიეთა პატივსაცემად საქართველოს სსრ ალმის აღმართვას. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. დვალიშვილმა.

რესპუბლიკის ალისფერი ალამი მაღლა ასწიეს რაიონის წარჩინებულმა ადამიანებმა: ნატანებელმა მეჩაიემ დარეჯან ტაკიძემ, მელექედურელმა მეჩაიემ ლამზირა ღლონტმა, შრომის კოლმეურნეობის ბრიგადირმა დანიელ კუბუსიძემ და სხვებმა.

მიტინგზე მეჩაიეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს აბრეშუმის